საქართველოს წითელი ჯვარი
GEORGIA RED CROSS

ახალგაზრდობის
სააგენტო

როგორ შევქმნათ ახალგაზრდული საბჭო

გზამკვლევი

წინასიტყვაობა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ოფიციალურად 1918 წლიდან იწყებს არსებობას. 1997 წელს ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ'' კანონის მიღებით, საქართველომ ოფიციალურად აღიარა ეროვნული საზოგადოება, რომელიც მოქმედებს, როგორც ნებაყოფლობითი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო ორგანიზაცია. მას მიენიჭა სახელმწიფოს დამხმარის როლი ჰუმანიტარულ საქმიანობაში. სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის მიუხედავად, იგი ინარჩუნებს ავტონომიას, რაც საშუალებას აძლევს ყოველთვის იმოქმედოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ორიენტირებულია ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებაზე, სიღარიბისა და მცდარი შეხედულებებისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე. ორგანიზაცია ეხმარება უმწეო ადამიანებს საგანგებო სიტუაციებითა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შედეგების დაძლევაში.

ქვეყნის მასშტაბით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად:

- მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში;
- არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფასა და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში;
- ეხმარება საგანგებო სიტუაციის დროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში;
- კოორდინაციას უწევს კატასტროფების მართვის სფეროში მომუშავე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობებს საგანგებო სიტუაციების დროს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- კატასტროფების მართვა;
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება;
- ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობების განვითარება;
- ორგანიზაციული განვითარება.

„არაერთხელ მითქვამს და ახლაც სიამაყით ვამბობ, რომ სწორედ მოხალისეები არიან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა. არცერთი პროექტი, არცერთი წამოწყება არ ხორციელდება მათი ენთუზიაზმის, შემართებისა და თავდაუზოგავი შრომის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ბევრი ჩვენი მოხალისე ახალგაზრდაა, რომლებიც სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ და ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში ჩვენ გვერდით დგანან. ახალგაზრდებთან ახლო ურთიერთობამ არაერთხელ დამანახა, თუ რა შეუძლია მათ ძალისხმევას. მე ვხედავ მათში უსაზღვრო პოტენციალს და მჯერა, რომ ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, უფრო აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამიტომ ვემხრობი ახალგაზრდული საბჭოს დაარსებას, რომლის წევრებიც შეისწავლიან ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს, ერთად დასახავენ არსებული საკითხების გადაჭრის გზებს და ეფექტურად მიაწვდიან მათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. აუცილებელია, რომ ახალგაზრდების შემოქმედებით ხედვასა და ულევ ენერგიას გასაქანი მიეცეს, რადგან ვის შეუძლია უკეთ დაინახოს ახალგაზრდების საჭიროებები, თუ არა თვითონ ახალგაზრდებს?''

ნათია ლოლაძე

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის მმართველი საბჭოს წევრი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი.

UNGDOMMENS RØDE KORS

დანიის ახალგაზრდული წითელი ჯვარი არის დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც წითელი ჯვრის ეგიდით მოქმედებს. ეს არის ახალგაზრდების მიერ შექმნილი ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალგაზრდები და რომლის საქმიანობაც ხორციელდება საკუთრივ ახალგაზრდებისთვის. დარწმუნებული ვართ, რომ ახალგაზრდა ადამიანებს უკეთ ესმით ის იმედები, ოცნებები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან მათივე თემის (საზოგადოების) წარმომადგენელი სხვა ახალგაზრდები. ახალგაზრდებს შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა და ერთმანეთისთვის საკუთარი შეხედულებების, წუხილის და იმედების გაზიარება ისე, როგორც ეს შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა სხვა ჯგუფებისთვის - და ეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი ახალგაზრდები არიან.

ახალგაზრდების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 25%-ს შეადგენს. მათ აქვთ ენერგია, მოტივაცია და შემოქმედებითი იდეები, რომლებიც მნიშვნელოვანი რესურსი შეიძლება გახდეს მათი ადგილობრივი თემის განვითარებისთვის - თუკი მათ სათანადო მხარდაჭერა ექნებათ. ამასთან, მათი პოტენციალის გამოყენება ყოველთვის სრულფასოვნად არ ხდება. ახალგაზრდები ნაკლებად არიან

წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში, რომლებიც საზოგადოების თითქმის ყველა ფენას (ნაწილს) მოიცავს - ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ არის გამოყენებული მათი უმნიშვნელოვანესი კონტექსტუალური ცოდნა იმ თანამედროვე სიტუაციის შესახებ, რაც ახალგაზრდებს უკავშირდება. ახალგაზრდებმა ყველაზე უკეთ იციან, თუ რას ფიქრობენ მათი თანატოლები. შესაბამისად, ახალგაზრდები მუდმივად უნდა იყვნენ ჩართული იმ ახალი პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც ახალგაზრდებს შეეხება და მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდული ინიციატივების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში - დანიის ახალგაზრდული წითელი ჯვარი.

სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტო“ არის სამთავრობო უწყება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას და ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობას.

ახალგაზრდობის სააგენტოს მიზანია საქართველოში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე, ისეთი ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ახალგაზრდების, როგორც ინდივიდების და როგორც ქვეყნის მთავარი ადამიანური კაპიტალის სრულფასოვანი განვითარება, საკუთარი პოტენციალის რეალიზება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ეფექტიანად ჩართვა. ამისთვის სააგენტოს გუნდმა, შეიმუშავა საქართველოზე მორგებული ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის მოდელი, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული რვა ძირითადი მდგენელისგან და მათი კომპონენტებისგან. მხოლოდ თითოეულის სრულფასოვანი ფუნქციონირებით არის შესაძლებელი მდგრადი და გრძელვადიანი შედეგების მიღება ახალგაზრდულ სფეროში.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- მთავრობის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განვითარება;
- სტრატეგიის აღსრულება და აღსრულების კოორდინაცია უწყებებს შორის.

სარჩევი

შესავალი ..... 1 გვ.

ახალგაზრდების მონაწილეობა ..... 2 გვ.

ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოში ..... 5 გვ.

ახალგაზრდული საბჭოს მიზანი და მნიშვნელობა ..... 10 გვ.

ახალგაზრდული საბჭოს ფუნქციები და საქმიანობა ..... 12 გვ.

ახალაზრდული საბჭოს დაკომპლექტება და მისი წევრები ..... 21 გვ.

ახალგაზრდული საბჭოს წევრების უფლება-მოვალეობები

და საბჭოს მუშაობის წესი..... 24 გვ.

ახალგაზრდული საბჭოს მხარდაჭერა ..... 28 გვ.

ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება ..... 30 გვ.

1. შესავალი

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის მოდელის შექმნა ახალგაზრდული საბჭოს სახით. მას საფუძვლად უდევს საერთაშორისო გამოცდილება და იმ პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი და შედეგები, რომელიც სხვადასხვა დროს საქართველოს მუნიციპალიტეტებში განხორციელდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საბჭოების შექმნა და ფუნქციონირება ადგილობრივ დონეზე. მუნიციპალური სერვისები და პროგრამები მოიცავენ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან ბევრ სფეროს, რომელთა დაგეგმვა და განხორციელება გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. გარდა ამისა, ახალგაზრდები ყველაზე მეტად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედებენ, ისინი კი, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფენ ახალგაზრდების სრულფასოვან ჩართულობას.

გზამკვლევში აღწერილია თუ რა მიზანს ემსახურება ახალგაზრდული საბჭო, რა შეიძლება იყოს მისი ფუნქციები, როგორ დაკომპლექტეს, რა უფლება-მოვალეობები უნდა ჰქონდეთ მის წევრებს და რა საქმიანობას ახორციელებდნენ, როგორი მხარდაჭერა სჭირდება მათ და საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

გზამკვლევი, პირველ რიგში, განკუთვნილია ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლებისთვის და დაეხმარება მათ წარმატებული ახალგაზრდული საბჭოს შექმნასა და განვითარებაში. ის ასევე საინტერესო იქნება ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, ახალგაზრდული მუშაკებისა და სფეროში ჩართული სხვა აქტორებისთვის. გზამკვლევში აღწერილი მოდელის პრაქტიკაში განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას და მათ სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. ახალგაზრდების მონაწილეობა

ახალგაზრდების განვითარებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია აქტიური მოქალაქეობა და მონაწილეობა. ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებით მრავალი პრაქტიკა, დეფინიცია და მიდგომა არსებობს, თუმცა წინამდებარე გზამკვლევის მიზნებისთვის განმარტებული იქნება იმგვარად, როგორც ის წარმოდგენილია „ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებულ ევროპულ ქარტიაში“[1]:

„საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ან კანდიდატურის დაყენება, მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა. მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერას, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის და ღონისძიებებში და აქტივობებში ჩართულობისთვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.“

მოცემული განმარტება ითვალისწინებს მონაწილეობის ორ ძირითად კომპონენტს:

1. ახალგაზრდები ჩართული უნდა იყვნენ აქტივობებსა და პროცესებში, რომლებიც იმ საზოგადოებაში თუ თემში ხდება, რომელთა წევრებსაც ისინი წარმოადგენდნენ;
2. ახალგაზრდები გავლენას უნდა ახდენდნენ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მათთვის და მათ ეხებათ.

ამგვარად, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ განსაზღვრავს ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართულობას.

ქარტიის განმარტებასა და ახალგაზრდების მონაწილეობის თანამედროვე გაგებაში ცხადად ჩანს მიდგომა - „ახალგაზრდობა როგორც რესურსი და არა პრობლემა“[2]. ახალგაზრდობა აღიქმება „რესურსად“ თუ „პრობლემად“ დიდწილად განსაზღვრავს ახალგაზრდული პოლიტიკის რაობასა და ეფექტიანობას. „პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომით“ ახალგაზრდობა განიხილება როგორც მოწყვლადი ჯგუფი, რომელიც საფრთხეშია და დაცვას საჭიროებს ან თავად ქმნის

[1] Revised European Charter on the Participation of Young People in Local and Regional Life (2003), Council of Europe

[2] Youth Policy Manual: How to develop a national youth strategy (2009), Finn Yrjar Denstad, Council of Europe Publishing

პრობლემებს. ისინი არიან პოტენციური მსხვერპლი და ხელისუფლებისა და უფროსების ინტერვენციის ობიექტი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ყველაზე კარგად იციან, თუ რა სჭირდებათ ახალგაზრდებს.

თუ ახალგაზრდები აღქმული არიან როგორც რესურსი, მოქალაქეები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი შესაძლებლობები, ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი პოტენციალი, ტალანტი და ძლიერი მხარეები, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანი იქნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის, დამოუკიდებლობისა და კრიტიკული აზროვნებისადმი სწრაფვის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში ხელისუფლების როლია შესძლებლობების შექმნა ახალაგზრდებისთვის, რომ გამოხატონ საჭიროებები და იპოვონ მათი დაკმაყოფილების გზები. ახალგაზრდები ჩართული უნდა იყვნენ მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, ხოლო სხვები მხარს უნდა უჭერდნენ მათ და არა ხელმძღვანელობდნენ. ახალგაზრდული საბჭო ზუსტად ასეთი მონაწილეობის ინსტრუმენტს შეიძლება წარმოადგენდეს.



Eight levels of young people's participation. The ladder metaphor is borrowed from Sherry Arnstein (1969); the categories are from Roger Hart.

ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა დონისა და ხარისხისაა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან ისინი ჩართული ან იღებენ პასუხისმგებლობას. ახალგაზრდების მონაწილეობის დონეების აღსაწერად თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს როჯერ ჰარტის ე.წ. „ახალგაზრდების მონაწილეობის კიბე“ (რომელიც ეფუძნება შ. არნშტაინის მოქალაქეთა მონაწილეობის მოდელს)[3]. თეორიის მიხედვით მონაწილეობას გააჩნია 8 საფეხური, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, თუ რამდენად აქვთ ახალგაზრდებს გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე და, შესაბამისად, რამდენად გაზიარებულია ძალაუფლება.

მონაწილეობის კიბის ქვედა 3 საფეხური ითვლება ახალგაზრდების მონაწილეობის ფალსიფიცირებად. ესენია:

1. მანიპულაცია - უფროსები ახალგაზრდებს რთავენ გარკვეულ ინიციატივებში, რაც ქმნის მონაწილეობის ილუზიას, თუმცა ამას იყენებენ პირადი ინტერესების გასატარებლად. აქ ადგილი აქვს ახალგაზრდების

[3] Have Your Say! Manual on the Revised European Charter on the Participation of Young People in Local and Regional Life (2015), Congress of Local and Regional Authorities of the Council of Europe

ჩართვას კერძო მიზნების მიღწევისათვის შემუშავებულ აქტივობებში მოტყუებით, ფარულად და/ან ზეწოლის გზით.

2. დეკორაცია - ახალგაზრდები მხოლოდ ფორმალურად იღებენ მონაწილეობას უფროსების მიერ ორგანიზებულ რაიმე სახის ღონისძიებაში, რეალურად კი გააზრებული არა აქვთ მისი მნიშვნელობა. ახალგაზრდები წარმოადგენენ ერთგვარ ფასადს, დეკორაციას და მესამე პირებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით არიან ჩართული ამა თუ იმ აქტივობაში.

3. სიმბოლიზმი - გადაწყვეტილების მიმღები პირები მხოლოდ ფორმალურად ინტერესდებიან რაიმე საკითხთან მიმართებაში ახალგაზრდების აზრით. ახალგაზრდები აფიქსირებენ საკუთარ შეხედულებებს, თუმცა მათ იდეებს ნაკლებად აქვთ გათვალისწინების შანსი, რადგან უფროსები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით სვამენ საკითხს და არც კი გეგმავენ ახალგაზრდების აზრის გათვალისწინებას. ხშირად, იმ მომენტისათვის, როდესაც ახალგაზრდების ჩართვა ხდება პროცესში, საკითხი უკვე წინასწარ არის გადაწყვეტილი შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.

მესამე საფეხურის ზემოთ ყველა დანარჩენი ითვლება მონაწილეობად, სადაც მონაწილეობის და, შესაბამისად, გადაწყვეტილებაზე გავლენის დონე მზარდია და აღწევს ყველაზე მაღალ - მერვე საფეხურს:

4. ინფორმირება და ჩართვა - უფროსები იჩენენ ინიციატივას, იღებენ გადაწყვეტილებებს და მათი განხორციელების პროცესში რთავენ ახალგაზრდებს. რადგან საკითხის გარშემო ისინი დეტალურად და სრულფასოვნად არიან ინფორმირებული, ამიტომ ახალგაზრდების მონაწილეობა ნებაყოფლობითი და გააზრებული პროცესია.

5. ინფორმირება და კონსულტაცია - გადაწყვეტილების მიმღები პირები იჩენენ ინიციატივას და საკონსულტაციოდ იწვევენ ახალგაზრდებს. ისინი თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, ხოლო უფროსები ითვალისწინებენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციის პროცესის დასრულების შემდეგ გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ უფლებამოსილი პირები ახალგაზრდების გარეშე, მოგვიანებით ხდება ახალგაზრდების ინფორმირება არა მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, არამედ იმაზეც, თუ რითი საბუთდება ეს გადაწყვეტილება, რატომ იყო მისი მიღება მართებული, რა იქნა გათვალისწინებული კონსულტაციის შედეგად და რა არა

შესაბამისი დასაბუთებით.

6. უფროსების ინიციატივა, გადაწყვეტილების მიღება ახალგაზრდებთან ერთად - გადაწყვეტილების მიმღები პირი იჩენს ინიციატივას და საკითხის განსახილველად იწვევს ახალგაზრდებს, ყველა თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და გადაწყვეტილებაც მიიღება ერთობლივად.

7. ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა - ახალგაზრდები თავად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას - უფროსების მხრიდან არსებობს სრული დელეგირება და პროცესი მიმდინარეობს მათი ჩარევის გარეშე.

8. ახალგაზრდების ინიციატივა, გადაწყვეტილების მიღება უფროსებთან ერთად - ახალგაზრდები გამოდიან ინიციატივით, გადაწყვეტილების მიღება, განხორციელება და შეფასება ხდება უფროსებთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის ხარისხი შეესაბამებოდეს მონაწილების კიბის ზედა საფეხურებს და თავიდან იქნას აცილებული მანიპულაცია, დეკორაცია თუ სიმბოლიზმი.

3.ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოში

საქართველოში ახალგაზრდების მონაწილეობა, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ ყველა სახელმწიფო დოკუმენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართლება იყო[4].
საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020–2030 წლებისთვის (ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ)“[5] ასევე ემსახურება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველყოფას.
კონცეფცია მოიცავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი

[4] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 აგვისტოს №1608 განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის №533 განკარგულება „საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ
[5] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054-რს დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია (ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ)“ დამტკიცების შესახებ

ხელისუფლებები. ერთ-ერთი მათგანია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა, ხოლო მოსალოდნელი შედეგი - გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა. ამ მიზნის მისაღწევად კონცეფცია პირდაპირ ითვალისწინებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ახალგაზრდების რეალური მონაწილეობის ხელშემწყობი მდგრადი, სისტემური მექანიზმების (ახალგაზრდული საბჭოები, თანამენეჯმენტის მოდელები, სტრუქტურული დიალოგი ან/და სხვა) შექმნას, რათა მათი მონაწილეობა იყოს არა სპონტანური, არამედ მუდმივი და თანამიმდევრული.

მიუხედავად დეკლარირებული მიზნების არსებობისა, წინა წლებში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდების მონაწილეობის დონე და ხარისხია ძალიან დაბალია. 2014 წლის კვლევის მიხედვით[6] საქართველოში ახალგაზრდების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (90,4%) იცის, რომ ახალგაზრდებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მათ ეხება. თუმცა, იმავე კვლევის მიხედვით, გასული 12 თვის განმავლობაში მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 10,9%-მა მიიღო მონაწილეობა.

დიაგრამა 1. საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %



[6] ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი (2014), https://www.unicef.org/georgia/media/1131/file

კიდევ უფრო საგანგაშო შედეგი გამოიკვეთა, რომ მათგან, ვინც მონაწილეობდა, უმრავლესობა (50.8%) აღნიშნულ პროცესში ნაწილობრივ იყო ჩართული, ხოლო 11,5% - ფორმალურად. ახალგაზრდების მხოლოდ 37.6% იღებდა სრულად მონაწილეობას.

დიაგრამა 2. საქართველოში 15-29 წლის იმ ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %



2016 წლის კვლევამ[7] ასევე დაბალი შედეგები აჩვენა საჯარო და სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობისა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის თვალსაზრისით: მხოლოდ 6% დაესწრო ბოლო 12 თვის მანძილზე რაიმე საკითხზე გამართულ საჯარო შეხვედრას და იგივე რაოდენობამ გამოხატა პოზიცია ან ჩართულა ონლაინ ფორუმის დებატებში. სხვა სამოქალაქო ატივობებში ჩართულობა კიდევ უფრო იშვიათი იყო და 1% და 4%-ს შორის მერყეობდა.

[7] თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა (2016), http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf

დიაგრამა 3. სამოქალაქო ჩართულობის აქტივობები



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, სამოქალაქო ან პოლიტიკური ჩართულობა არ ფერხდება ახალგაზრდების აღქმებით, ასეთი აქტივობის არამოდურობით ან ახალგაზრდებში გავრცელებული სტერეოტიპებით. ასევე საინტერესოა, რომ ახალგაზრდების მოსაზრებით, მათი ინტერესები ან არ არის საკმარისად წარმოდგენილი ან საერთოდ არაა წარმოდგენილი პოლიტიკურ დღის წესრიგში. გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 2% აღნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი ახალგაზრდების ინტერესებს მნიშვნელოვნად ითვალისწინებს.

დიაგრამა 4. ახალგაზრდობის საკითხების ქართულ პოლიტიკაში გათვალისწინების დონე

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა ახალგაზრდების დაბალი ნდობა საჯარო და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ - პოლიტიკური პარტიები, პარლამენტი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ახალგაზრდობის მხრიდან ყველაზე ნაკლები ნდობით გამოირჩევიან (25%-26%). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მხოლოდ 1% გამოხატავს აშკარა ნდობას (ძალიან ვენდობი) პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ.

არსებული რეალობის გათვალისწინებით ნათლად ჩანს საჭიროება, რომ გაიზარდოს ძალისხმევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. ეს გულისხმობს:

- ინფომაციის მიწოდებას ახალგაზრდებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მდგრადი და ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნას.

წლების განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა, რომელთა მიზანიც ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა იყო და ითვალისწინებდა ახალგაზრდული საბჭოების (საკრებულოების, სათათბიროების, კომიტეტების) შექმნას სხვადასხვა ფორმითა და სტატუსით. მათ შორის აღსანიშნავია პროექტი, რომელიც World Vision საქართველოს მიერ განხორციელბდა და რომლის ფარგლებშიც 2017-2018 წლებში ახალგაზრდული საბჭოები შეიქმნა თელავისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში. მათი წევრები მოხალისეობრივად მუშაობენ, ხოლო დაკომპლექტება მოხდა საკუთრივ მუნიციპალიტეტში მცოხვრები ახალგაზრდების მიერ - თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდების მიერ კენჭისყრით და ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა ერთი წარმომადგენელი.

საბჭოები წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ სათათბირო ორგანოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობას. საბჭოებს გააჩნიათ საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულება, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებს, შემადგნელობას, საქმიანობის პრინციპებს და წესს, სტრუქტურას, შემადგენლობას, წევრთა არჩევასა და შეცვლას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ანგარიშვალდებულებასა და სხვა საკითხებს.

წინამდებარე გზამკვლევში გათვალისწინებულია სწორედ აღნიშნული საბჭოების შექმნისა და განვითარების წარმატებული პრაქტიკა და მიღებული გამოცდილება.

4. ახალგაზრდული საბჭოს მიზანი და მნიშვნელობა

„ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებულ ევროპულ ქარტიაში“[8] ადგენს, რომ წარმატებული ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა შექმნან სისტემური და მდგრადი სტურქტურები, რათა უზრუნველყონ ახალგაზრდების მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისა და დებატების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე.

ახალგაზრდული საბჭო სწორედ ასეთ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც არის:

- წარმომადგენლობითი - მოქმედებს ახალგაზრდობის სახელით;
- მუდმივმოქმედი - მისი საქმიანობა არ არის დროში შეზღუდული;
- პლატფორმა - ხელს უწყობს დიალოგსა და თანამშრომლობას ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- ოფიციალური - აღიარებულია და მუშაობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

ახალგაზრდული საბჭოს მიზანია, რომ უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობა. საბჭო ფაქტიურად ასრულებს „შუამავლის“ ფუნქციას ახალგაზრდებსა და ხელისუფლებას შორის, რომ, ერთის მხრივ, ახალგაზრდების ინტერესები და საჭიროებები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ახლაგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალგაზრდები ინფორმირებული იყვნენ მიმდინარე მოვლენებისა და სიახლეების შესახებ და სარგებლობდნენ არსებული შესაძლებლობებით.

ახალგაზრდული საბჭოები, სხვადასხვა ფორმით და სახელით, შეიძლება ფუნქციონირებდეს ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზეც კი. თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი არსებობა მუნიციპალიტეტებში, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები

[8] Revised European Charter on the Participation of Young People in Local and Regional Life (2003), Congress of Local and Regional Authorities of the Council of Europe

ახალგაზრდებთან ყველაზე ახლოს მდგომი სახელიმწიფო ინსტიტუტები არიან და ახალგაზრდები, პირველ რიგში, მათთან ურთიერთქმედებენ.

ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კოდექსი[9], რომლის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ე.ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს – საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს. იმავე კანონის 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობა მრავალმხრივ სასარგებლოა ორივე მხარისთვის. ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან:

- ხელს უწყობს ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ კეთილდღეობას;
- ხელს უწყობს ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალიწინებას გადაწყვეტილებების მიღების დროს;
- ეხმარება ახალგაზრდებს, გააცნობიერონ, როგორ მუშაობს ან უნდა მუშაობდეს დემოკრატია;
- სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს, პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ ქმდებებსა და გადაწყვეტილებებზე;
- ქმნის სივრცეს ახალგაზრდებისთვის, რომ გამოიყენონ მათი ნიჭი, უნარები და ძლიერი მხარეები საკუთარი და საზოგადეობის კეთილდღეობისთვის;
- ახალგაზრდებს მეტი წვდომა ექნებათ სხვადახვა რესურსებსა და სერვისებზე;
- ახალგაზრდები დაამყარებენ ახალ კავშირებს, მიიღებენ ახალ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და კომპეტენციებს.

თანამშრომლობა არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რადგან:

- უფრო მეტად შეიტანენ წვლილს ახალგაზრდებისა და ზოგადად, საზოგადოების განვითარებაში;

[9] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=47

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესს გახდიან უფრო წარმომადგენლობითს და დემოკრატიულს;
- უფრო სრულყოფილად შეძლებენ ახალგაზრდების საჭიროებისა და ინტერესების დადგენას და შექმნიან უკეთეს სერვისებს მათთვის;
- მოახდენენ სხვადასხვა პრობლემების პრევენციას;
- შეიძენენ პარტნიორებს მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაში;
- მიიღებენ ეფექტურ უკუკავშირს სხვადასხვა იდეებისა და ინიციატივების შესახებ;
- ხელს შეუწყობენ, რომ ახალგაზრდები მზად იყვნენ სამომავლო პასუხისმგებლობებისთვის საჯარო მმართველობის თვალსაზრისით;
- სტიმულს მისცემენ ახალ, ინოვაციურ მიდგომებსა და იდეებს ადგილობრივი პრობლემების გადასწყვეტად.

მიუხედავად ამისა, არსებობს რისკებიც, რომ ახლგაზრდულმა საბჭომ ვერ უზრუნველყოს ახალგაზრდების რეალური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გახდეს „სიმბოლური“ სტურქტურა, რომლის საქმიანობა ახალგაზრდების მონაწილეობის კიბის ყველაზე დაბალ საფეხურებთან (მანიპულაცია, დეკორაცია, სიმბოლიზმი) იქნება თანხვედრაში. სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითები არაერთი ყოფილა, რაც საბჭოს საქმიანობას არაპოპულარულს ხდის ახალგაზრდებს შორის და მისი იდეის დისკრედიტაციას უწყობს ხელს.

ამ რისკების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ კარგად დაიგეგმოს ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიებების პროცესი და გათვალისწინებული იქნას მის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, რომლებიც შემდგომ თავებშია აღწერილი და ასახული უნდა იქნას საბჭოს დამტკიცებულ დებულებაში.

5. ახალგაზრდული საბჭოს ფუნქციები და საქმიანობა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ეფექტიანი ჩართვა ნიშნავს, რომ ახალგაზრდები:

- არიან ინფორმირებული;
- ახერხებენ საკუთარი თავის ორგანიზებას;
- იღებენ გადაწყვეტილებებს ან მონაწილეობენ მათი მიღების პროცესში;
- ჩართული არიან მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებაში.

ამისთვის მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ფუნქციები (ამოცანები), რომელსაც ახალგაზრდული საბჭო შეასრულებს. ესენია:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მათი უზრუნველყოფის მიზნით;
ბ) მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;
გ) მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში და ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელება;
დ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამების, აქტივობების და სხვა არსებული შესაძლებლობების შესახებ;
ე) საზოგადოების ინფორმირება ახალგაზრდობის სფეროში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ;
ვ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვა სფეროებში.

ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა

ახალგაზრდული საბჭოს წარმატება დამოკიდებულია, რამდენად უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას და შესრულებას.

საჭიროებაში იგულისხმება ყველა ის სხვაობა ან შეუსაბამობა, რაც ახალგაზრდების არსებულ და სასურველ მდგომარეობას შორის არსებობს და წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების და მათ შესაბამისად მოქმედების საფუძველს:



ახალგაზრდებისთვის სასურველი მდგომარეობა გულისხმობს ისეთი გარემოს არსებობას, სადაც ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სარგებლობენ მათი თავისუფლებებით, შეუძლიათ პოტენციალის სრულად რეალიზება, მისდევენ ცხოვრების ჯანსაღ წესს, შეუძლიათ, დაეუფლონ სათანადო კომპეტენციებს, აღწევენ ეკონომიკურ კეთილდღეობას, არიან დამოუკიდებლები, სარგებლობენ შესაბამისი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, ცხოვრობენ უსაფრთხო გარემოში, აქვთ წვდომა მათთვის საჭირო ინფორმაციაზე. ამგვარად, ახალაზრდებს მრავალფეროვანი საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ.

თავისთავად ცხადია, ადგილობრივი ხელისუფლება მის საქმიანობას უნდა გეგმავდეს და ახორციელებდეს ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ეს აუცილებელია, რომ ახალგაზრდული პოლიტიკა შესაბამისობაში მოდიოდეს ადგილობრივ რეალობასთან და ეხმიანებოდეს ახალგაზრდების საჭიროებებს; რომ მოხდეს ისეთი საკითხების გამოვლენა, რომლებიც ყველაზე პრიორიტეტულია ახალგაზრდებისთვის და ყველაზე მეტ შედეგს მოიტანს, რადგან შეზღუდული რესურსების პირობებში შეუძლებელია ყველა მათგანის დაკმაყოფილება.

საჭიროებისა და ინტერესების შესწავლაში ქმედითი ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეობა ამ პროცესს უფრო მრავალფეროვანს და შედეგიანს გახდის, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისგან მეტი იდეისა და ინიციატივის შეგორვებას და საბოლოო ჯამში, უკეთესი და უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

გარდა ზოგადი საკითხების შესწავლისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საწყისი ეტაპიდანვე ჩართულობა კონკრეტული პროექტების დაგეგმვაში, რადგან ისინი გავლენას ახდენენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ასეთი მიდგომა მონაწილეობის კიბის ზედა საფეხურების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და გულისხმობს, რომ ახალგაზრდები საკუთარი ცხოვრების ყველაზე კარგი ექსპერტები არიან და ყველაზე უკეთ იციან, რა სჭირდებათ მათ.

პროექტების სპექტრი ძალიან მრავალფეროვანია და შეიძლება იყოს სკვერების და სხვა რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, ტრანსპორტის მუშაობა და განრიგი, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება და სხვა. თუ დადგინდა, რომ ახალგაზრდებს სურთ კულუტრული ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა, ასევე შესასწავლია, რა ტიპის ღონისძიებებს ანიჭებენ უპირატესობას და სად, როგორ და როდის უნდათ მათი ჩატარება. ასეთი ჩართულობის მაგალითია მეზობელ მუნიციპალიტეტებში სკეიტ პარკების მოწყობა. ერთ-ერთ მათგანში პარკი ისე ააშენეს, რომ დაგეგმვის პროცესში არ ჩართეს ახალგაზრდები. შედეგად, მას იყენებს საშუალოდ 2 ახალგაზრდა, დღეში ერთი საათით. მეზობელ

მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები მიიწვიეს დაგეგმვის პროცესში და ჩართეს მისი დიზაინის შემუშავებაში, მოისმინეს და გაითვალისწინეს მათი შეხედულებები. შედეგად ის მუდმივად, მთელი დღის განმვალობაში დატვირთულია და სავსეა ახალგაზრდებით.

საბჭოს, როგორც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების წარმომადგელობით ორგანოს, რეგულარული კონტაქტი და კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს ახალგაზრდებთან და იყენებდეს სხვადასხვა მეთოდებს მათი იდეებისა და ინიციატივების შესასწავლად;

- ახალგაზრდებთან შეხვედრა;
- ფოკუს-ჯუფების ჩატარება;
- არსებული მონაცემების ანალიზი;
- გამოკითხვა და კითხვარების შევსება;
- ინტერვიუ;

ინტრუმენტები და მეთოდები უნდა იყოს ახალგაზრდებზე მორგებული, სახალისო და ხელს უნდა უწყობდეს მათ მოტივიაციასა და აქტიურ ჩართულობას. მათი გამოყენება შესაძლებელია გამარტივებული ფორმებით და როგორც ფიზიკურად, ასევე ონლაინ ხელსაწყოების საშუალებით, თუმცა აუცილებელია რამდენიმე საკითხის გათვალისწინება, კერძოდ, მოკვლევა უნდა ჩატარდეს:

- მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში და ახალგაზრდების მაქსიმალურად მრავალფეროვან ჯგუფებთან;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებთან კომუნიკაციას: განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი (Not in Education, Employment, or Training – NEET), ეთნიკური და სხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი, სოფლად მცხვორები, პრობაციონერი, შეზღდული შესაძლებლობების მქონე და სხვა ახალგაზრდები;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველაზე ადრეულ ეტაპზე, რომ მინიმუმამდე დავიდეს ახალგაზრდების მოსაზრებების გათვალისწინების ხელშემშლელი ფაქტორები. როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი უკვე გარკვეულ ეტაპამდეა მისული, როგორც წესი, ცვლილებების შეტანა საკმაოდ რთულია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოკვლევის დროს ახალგაზრდებს ჰქონდეთ აზრის თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობა და მათი მოსაზრებები გათვალისწინებული იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი ეს ვერ ხერხდება, ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ უკუკავშირი და დეტალური განმარტება, თუ რატომ

არის ამა თუ იმ იდეის და წინადადების გათვალისწინება შეუძლებელი ან მიზანშეუწონელი.

საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და საბჭოს სხდომაზე სავალდებულოდ განსახილველი, ახალგაზრდულმა საბჭომ მისი ანალიზის საფუძველზე უნდა მოამზადოს კონკრეტული ინიციატივები, რეკომენდაციები და პროექტები, რომელთაც წარუდგენს ადგილობრივ ხელისუფლებას.

ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება

ახალგაზრდების იდეებისა და ინტერესების შეგროვების შედეგად მომზადებული რეკომენდაციები უნდა აისახოს მუნიციპალურ ახალგაზრდულ პოლიტიკაში.

ახალგაზრდული პოლიტიკა შეიძლება განვმარტოთ როგორც ხელისუფლების ვალდებულებებისა და ქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ახალგაზრდების კეთილდღეობასა და განვითარებას ემსახურება. „ახალგაზრდული პოლიტიკა არის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული სტრატეგია, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ შესაძლებლობები და გამოცდილება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში და საშუალებას მისცემს მათ, იყვნენ საზოგადოების აქტიური და პასუხისმგებლიანი წევრები და ცვლილების აგენტები. ის 4 მიმართულებას მოიცავს, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება: ა) კარგ ფორმაში ყოფნა (ფიზიკურად და მენტალურად); ბ) სწავლება (ფორმალური, არაფორმალური და ფორმალურს გარე); გ) მონაწილეობა; და დ) ინკლუზია. ახალგაზრდული პოლიტიკა ემსახურება ყველა ახალგაზრდას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს მათ, ვინც სოციალურად, ეკონომიკურად ან კულტურულად მოწყვლადია“[10].

ამგვარად, მუნიციპალურ ახალგაზრდულ პოლიტიკაში იგულისხმება ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ის ქმედება (ან უმოქმედობაც), რაც ახალგაზრდებზე გავლენას ახდენს და არ აქვს მნიშვნელობა, ასახულია შესაბამისს დოკუმენტში (სტრატეგიაში) თუ პირდაპირ, პრაქტიკულად ხორციელდება.

ზოგადად, საჯარო პოლიტიკის განვითარების ციკლი 5 ეტაპს მოიცავს:

[10] Recommendation CM/Rec(2015)3 of the Committee of Ministers to member States on the access of young people from disadvantaged neighbourhoods to social rights

1. დღის წესრიგი დადგენა (პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება);
2. პოლიტიკის ფორმულირება;
3. პოლიტიკის დამტკიცება;
4. პოლიტიკის განხორციელება;
5. პოლიტიკის შეფასება / განახლება.



შეფასების ეტაპი ასევე შეესაბამება განახლებას, როდესაც მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პოლიტიკის გადახედვა და იწყება ახალი ციკლი.

ახალგაზრდული საბჭოს შემდეგი ფუნქციაა, უზრუნველყოს წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ახალგაზრდული პოლიტიკაში, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მომზადდა და აწარმოოს შესაბამისი ადვოკატირების კამპანია. ამასთან, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდა უზრუნველყოს, რომ არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების ფარგლებში, მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული საბჭოს რეკომენდაციები და ამის რეალური მექანიზმებიც არსებობდეს მონაწილეობის კიბის ზედა საფეხურების შესაბამისად.

ახალგაზრდული საბჭო ასევე უნდა ჩაერთოს ახალგაზრდული პოლიტიკის შეფასებაში, რაც გულისხმობს ანალიზს:

- როგორი ხარისხით შესრულდა სხვადასხვა აქტივობები, პროექტები და პროგრამები ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში;
- რამდენად იქნა მიღწეული წინასწარ დასახული მიზნები და ამოცანები;
- როგორ შეუწყო ხელი განხორციელებულმა ქმედებებმა ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათი საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას.

ამ ყველაფრის საფუძველზე საბჭომ უნდა მოამზადოს რეკომენდაციები, სამომავლოდ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს ახალგაზრდული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით.

პოლიტიკის განვითარების ციკლში შეგნებულად არ არის ნახსენები ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეობა განხორციელების ეტაპზე (პოლიტიკის დამტკიცება /მიღება ცალსახად ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა), რაც განპირობებულია რიგი ფაქტორებით:

- ახალგაზრდული საბჭოს მიზანია ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და არა ამ გადაწყვეტილებების აღსრულება. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების ან სერვისის მიმწოდებელი სხვა ორგანიზაციების ვალდებულებაა და ახალგაზრდული საბჭო თუ მისი წევრები არ უნდა იყვნენ სხვადასხვა პროექტებისა და თუ პროგრამების შემსრულებლები;
- ღონისძიებების განხოციელების შემთხვევაში, საბჭოს მიერ ვერ მოხერხდება საკუთარი საქმიანობის ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება (როგორც წესი, შეფასება ხორციელდება გარე ექსპერტების ჯგუფის ან დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ).

თუმცა, საბჭომ ასევე უნდა განახორციელოს ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგი, რაც გულისხმობს რეგულარულად ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს პროექტებისა და პროგრამების მიმდინარეობისის შესახებ, რომ მოხდეს თვალყურის დევნება, რამდენად წარმატებით და გეგმის შესაბამისად ხორციელდება ისინი.

ამ ნაწილში აღწერილი ახალგაზრდული საბჭოს ფუნქცია, თავისთავად, მოიცავს ასევე მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მერიისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების პროგრამების დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში,

რომლებიც ეხებათ ახალგაზრდებს და რეკომენდაციების მომზადებას მათი გაუმჯობესების მიზნით.

საგანამანთლებლო საქმიანობა

მიუხედავად იმისა, რომ საბჭო არ მონაწილეობს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში, მას შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები, რომელთა მიზანია ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარება სხვადასხვა სფეროებში და ამისთვის ფონდების ძიების მიმართულებითაც იმუშავოს:

- ტრენინგები და სემინარები;
- კამპანიები;
- თამაშები და ა.შ.

ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო სფეროების ჩამონათვალი ძალიან დიდია და საგანამანთლებლო აქტივობების შინაარსი შეიძლება ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლის შედეგებსაც დაეფუძნოს:

- ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
- სამოქალაქო განათლება;
- გარემოს დაცვა;
- კულტურათაშორისი დიალოგი;
- ცხოვრების ჯანსაღი წესი და სხვა.

ახალგაზრდებისა და საზოგადოების ინფორმირება

ხარისხიანი, პროაქტიური, განახლებული და სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა ეხმარება ახალგაზრდებს, რომ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები და რესურსები, მიიღონ პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა - ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ - სფეროში.

საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ახალგაზრდების პროაქტიური ინფორმირებაა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების, ასევე სხვა არსებული შესაძლებლობების შესახებ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზოგადად საზოგადოების და მისი წევრების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდების მონაწილეობის, მისი მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ, რომ მოხდეს ახალგაზრდების წვლილის სათანადოდ აღიარება და თაობათაშორისი დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება.

საბიუჯეტო პროცესი და ახალგარდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება

ახალგაზრდული საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. მნიშვნელოვანია საბჭოს ჩართულობა ამ პროცესის თითოეულ ეტაპზე, თუმცა რეალური მონაწილეობა ასევე გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯვასა და განკარგვას. ამისთვის უნდა დაინერგოს ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკა, რომელიც დეტალურად სხვა თავში იქნება აღწერილი.

ახალგაზრდული საბჭოს სამოქმედო გეგმა

ვინაიდან ახალგაზრდულ საბჭოს საკმაოდ მრავალფეროვანი ფუნქციების შესრულება აკისრია, საჭიროა მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, სადაც განსაზღვრული იქნება განსახორციელებელი საქმიანობები, ვადები და მასზე პასუხისმგებელი საბჭოს წევრები.

სამოქმედო გეგმის ნიმუში:

	აქტივობა	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	ვადა	შენიშვნა (მოსამზადებელი ეტაპი, საჭირო ინვენტარი, მხარდაჭერა და სხვა)
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				

6. ახალაზრდული საბჭოს დაკომპლექტება და მისი წევრები

საბჭოს წევრები არიან ადგილობრივი ახალგაზრდები, რომლებიც მოხალისეობრივად ასრულებენ თავიანთ საქმიანობას.

ახალგაზრდული საბჭოს შექმნა და დაკომპლექტება იწყება მუნიციპალიტეტში მცხვორები ახალგაზრდებისთვის (და ზოგადად, საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვისაც) ინფორმაციის მიწოდებით, რომ მათ იცოდნენ და სწორი მოლოდინები ჰქონდეთ, რა მიზნით იქმნება საბჭო და რა ფუნქციები დაეკისრება, რა იქნება წევრების მოვალეობა და რა ტიპის სამუშაო უნდა შეასრულონ. ინფორმაციის სწორად და სათანადოდ მიწოდებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების დაინტერესებას საბჭოს საქმიანობით და მეტ ჩართულობას.

ახალაზრდების ინფორმირების მრავალფეროვანი საშუალებები და საკომუნიკაციო არხები არსებობს:

- პირისპირ შეხვედრა;
- სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საჯარო განცხადება, ფორუმები და სოციალური ქსელები (მაგ. ფეისბუქი, ინსტაგრამი);
- ახალგაზრდული ჯგუფები;
- სპორტული და გასართობი ცენტრები;
- მშობლები;
- ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები;
- საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- არსებული და გამოყენებადი ქსელები და კავშირები.

საბჭოს დაკომპლექტება შესაძლებელია სხვადასხვა გზით (არჩევით ან დანიშვნით), მთავარია, ის გამოხატავდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესებს. ამ მიზნით, იდეალური ვარიანტია, რომ საბჭოს წევრების არჩევა მოხდეს თავად ახალგაზრდების მიერ, რაც ასევე უზრუნველყოფს მის წარმომადგენლობით ხასიათს. ამ შემთხვევაში საბჭო დაკომპლექტდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული თითო წევრისგან (ან 2 წევრისგან, თუ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულს საგრძნობლად მეტი ახალგაზრდა ასაკის მოსახლე ჰყავს).

ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართება პირდაპირი საარჩევნო პროცესი, რომელიც შეიძლება შემდეგი წესით წარიმართოს:

- ახალგაზრდებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია საბჭოს, არჩევნების ჩატარების წესის, თარიღის და ადგილის შესახებ;
- დადგენილ დროს და ადგილზე ხდება ახალგაზრდების მოწვევა არჩევნების ჩასატარებლად;
- საბჭოს წევრის არჩევა მიმდინარეობს ფარული კენჭისყრით და დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით;
- საბჭოს წევრობის კანდიდატურების წამოყენება ხდება უშუალოდ საარჩევნო პროცესამდე. კანდიდატებს შესაძლებლობა ექნებათ, სიტყვით მიმართონ დამსწრეებს;
- თუ დასახელდა მხოლოდ ერთი კანდიდატურა, ის ავტომატურად, კენჭისყრის გარეშე ხდება საბჭოს წევრი;
- 2 ან მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, გამარჯვებულად ჩაითვლება ის ახალგაზრდა, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას;
- თუ არჩევნებში მონაწილე ორმა ან მეტმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება არჩევნების მეორე ტური. კანდიდატებს შესაძლებლობა ექნებათ, სიტყვით მიმართონ დამსწრეებს და ამის შემდგომ ტარდება ხელახალი კენჭისყრა. გამარჯვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს;
- თუ გამარჯვებულის გამოვლენა მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა (ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო სხვა კანდიდატზე/კანდიდატებზე მეტი ხმა), საბჭოს წევრის არჩევა მოხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (ბრმა წილისყრით) თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებიდან;
- ახალგაზრდული საბჭო მუშაობას შეუდგება, თუ მოხდება წინასწარ დადგენილი მინიმალური რაოდენობის წევრების არჩევა (მაგალითად, 15-დან 11-ის).

საბჭოს წევრების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელი სამსახური და მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში. მორიგი არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაში ასევე ჩაერთვება მოქმედი ახალგაზრდული საბჭო.

ვინაიდან საბჭოს წევრებს საკუთრივ ახალგაზრდები ირჩევენ, როგორც მათ წარმომადგენლებს, წევრობისთვის დაწესებული იქნება მინიმალური კრიტერიუმები:

- არჩევნების დღისთვის წევრობის კანდიდატი არის 14-29 წლის (ახალგაზრდის ასაკი, როგორც ეს, ამჟამად, განსაზღვრულია „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით“);
- არის საქართველოს მოქალაქე და რეგისტრირებულია (ან ცხოვრობს) მოცემულ მუნიციპალიტეტში;
- არ შეიძლება მუშაობდეს საჯარო სამსახურში (რადგან ადგილი არ ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტს და გარანტირებული იყოს საბჭოს წევრის მიუკერძოებლობა).

საბჭოს დაკომპლექტების ალტერნატიული ვარიანტია მის წევრთა შერჩევა აპლიკაციების საფუძველზე სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც შედგება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან პარიტეტულ საწყისებზე. ამ შემთხვევაში საბჭო ჩამოყალიბდება როგორც აქტიური, გამოცდილი და ორგანიზებული ახალგაზრდების გაერთიანება. საბჭოს წევრობის საფუძველი იქნება წინასწარ შემუშვებული კრიტერიუმები, რომლებიც კანდიდატებმა უნდა დააკმაყოფილონ. ასეთი კრიტერიუმების (არასრული) მაგალითია:

- ასაკი (14-29 წელი - ახალგაზრდის ასაკი, როგორც ეს განსაზღვრულია „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით“);
- მაღალი მოტივაცია;
- საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის გამოცდილება;
- ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული გამოცდილება;
- სხვადასხვა კომპეტენციები და ა.შ.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიიის მიერ. საბჭოს დაკომპლექტების ასეთ წესს თავისი ნაკლოვანებები გააჩნია: არასრულფასოვანი წარმომადგენლობითობა, რადგან საბჭოს წევრები შეიძლება არ წარმოადგენდნენ მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს; უნდობლობა შერჩევის პროცესის მიმართ და ახალგაზრდების უფრო დაბალი ჩართულობა და აქტიურობა.

სასურველია, რომ ახალგაზრდულ საბჭოში, გარდა ტერიტორიული პრინციპისა (ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით), მაქსიმალურად იყოს წარმოდგენილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ყველა ჯგუფი, განსაკუთრებით, მოწყვლადი და სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდები. მაგრამ თუ ამის მიღწევა ვერ მოხერხდება არჩევნების შედეგად, მათი საჭიროებები და ინტერესები გათვალისწინებული იქნება საბჭოს საქმიანობაში როგორც ეს წინა თავში იყო აღწერილი. გარდა ამისა, დებულებაში

ასახული იქნება სხვა ინსტრუმენტებიც, რომლებიც საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის საშუალებას ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას მისცემს:

- ნებისმიერ ახალგაზრდას უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე, დაესწროს საბჭოს სხდომას. ინფორმაცია სხდომის ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ ქვეყნდება წინასწარ;
- პერიოდულად ტარდება საბჭოს გასვლითი სხდომები;
- ნებისმიერ ახალგაზრდას და/ან ახალგაზრდების ჯგუფს აქვს უფლება, საჯაროდ მიმართოს ახალგაზრდულ საბჭოს საკითხის განხილვის შესახებ (საჯარო მიმართვად მიიჩნევა განცხადების გამოქვეყნებაც საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით), რომელიც ვალდებულია, იმსაჯელოს მასზე და მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

ახალგაზრდული საბჭოს წევრების როტაცია

საბჭოს წევრები ირჩევიან გარკვეული ვადით და შემდეგ იცვლებიან. იმითვის, რომ შეიქმნას ინსტიტუციონალური მეხსიერება და მუდმივად ხდებოდეს საბჭოს წევრებს შორის დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, სასურველია, საბჭოში უნდა მოქმედებდეს შერეული როტაციის პრინციპი, კერძოდ, არჩევნების დროს იცვლებოდეს მხოლოდ წევრთა ნახევარი. თუ საბჭოს წევრები ირჩევიან 2 წლის ვადით, პირველი არჩევნების შემდეგ წევრთა ნახევარს უფლებამოსილება გაუგრძელდება ერთჯერადად კიდევ 1 წლით, რაც ნიშნავს, რომ ყოველწლიურად შეიცვლება მხოლოდ საბჭოს ნახევარი შემადგენლობა. საბჭოს წევრობა შეიძლება რამდენიმე ვადით, სანამ ახალგაზრდა არ მიაღწევს 30 წელს.

7. ახალგაზრდული საბჭოს წევრების უფლება-მოვალეობები და საბჭოს მუშაობის წესი

ახალგაზრდული საბჭოს წევრი მოქმედებს დამტკიცებული დებულების შესაბამისად და გააჩნია გარკვეული უფლება-მოვალეობები, რომელთაც ახორციელებს უშუალოდ. დაუშვებელია საბჭოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა ან მისი გაწვევა/შეცვლა, თუმცა შეიძლება წევრობის ვადამდე შეწყვეტა გარკვეულ ვითარებებში, როგორიცაა:

- საბჭოს წევრობაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;
- მუშაობის დაწყება საჯარო სამსახურში;
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არასაპატიო მიზეზით არმონაწილეობა საბჭოს მუშაობაში და სხდომების გაცდენა.

საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და შეჩერების წესს ადგენს ახალგაზრდული საბჭო.

საბჭოს წევრი მოვალეა:

- აქტიური წვლილი შეიტანოს საბჭოს ფუნქციების განხორციელებაში, რომლებიც მე-5 თავშია აღწერილი;
- რეგულარულად მოაწყოს შეხვედრები ახალგაზრდებთან და მუდმივი კომუნიკაცია ქონდეს მათთან;
- დაიცვას და შეასრულოს საბჭოს დამტიკიცებული დებულება,
- მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებსა და მუშაობაში;
- არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება და/ან მასთან დაკავშირებული რაიმე შესაძლებლობა;
- მოამზადოს, ახალგაზრდებს წარუდგინოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად განახორციელების მიზნით, საბჭოს წევრს ასევე გააჩნია დებულებით აღიარებული უფლებები:

- საბჭოს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად, შეიტანოს წინადადებები საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დასვას, მიიღოს და შეაფასოს პასუხები, გააცნოს საბჭოს ახალგაზრდების მოსაზრებები და მიმართვები;
- დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მერიის სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოს, საკრებულოს კომისიის და სამუშაო ჯგუფის სხდომებსა და შეხვედრებში;
- კითხვით მიმართოს მერს, მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, საკრებულოს და საკრებულოს კომისიას, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში, მიიღოს და შეაფასოს გაცემული პასუხები;
- დაუყონებლივ მიიღოს და ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა;
- შეუფერხებლად შეხვდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირს.

მნიშვნელოვანია, რომ თავიდან იქნას აცილებული საბჭოსა და მისი წევრების გამოყენება ისეთი მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას (რისიარაერთი ნეგატიური გამოცდილებაც არსებობს). ამისთვის დებულებაში უნდა აისახოს გარკვეული შეზღუდვები, რომ:

- დაუშვებელია, საბჭო ეწეოდეს პოლიტიკურ და/ან საარჩევნო აგიტაციას და მონაწილეობდეს წინასაარჩევნო კამპანიაში;
- დაუშვებელია, საბჭო იღებდეს დაფინანსებას და/ან რაიმე სახის მატერიალურ რესურსებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, გარდა ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერისა;
- დაუშვებელია, საბჭო იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობების/ღონისძიებების ორგანიზატორი და/ან მათზე პასუხისმგებელი;
- დაუშვებელია, საბჭო მოქმედებდეს პოლიტიკური სუბიექტის სახელით;
- დაუშვებელია, ახალგაზრდული საბჭოს წევრი ეწეოდეს პოლიტიკურ და/ან საარჩევნო აგიტაციას და მონაწილეობდეს წინასაარჩევნო კამპანიაში მისი უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ახალგაზრდული საბჭოს წევრის სტატუსით და სახელით;
- დაუშვებელია, ახალგაზრდული საბჭოს წევრი იღებდეს ანაზღაურებას მისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის;
- დაუშვებელია, ახალგაზრდული საბჭოს წევრი მუშაობდეს საჯარო სამსახურში;
- დაუშვებელია, ახალგაზრდული საბჭოს წევრი მოქმედებდეს პოლიტიკური სუბიექტის სახელით მისი უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ახალგაზრდული საბჭოს წევრის სტატუსით და სახელით;
- დაუშვებელია, ახალგაზრდული საბჭოს წევრი იყენებდეს ისეთ ატრიბუტიკასა თუ სიმბოლიკას, რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან ასოცირდება მისი უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ახალგაზრდული საბჭოს წევრის სტატუსით და სახელით.

ასეთი საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში, საბჭოს წევრს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება.

ახალგაზრდული საბჭოს თამჯდომარე, სტუქტურა და მუშაობის წესი

საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს გარკვეული ვადით (მაგალითად, 1 წელი).

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე:

- ახორციელებს საბჭოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;
- უძღვება საბჭოს მუშაობას და სხდომებს, საერთო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოს საქმიანობას;
- ადგენს და აქვეყნებს საბჭოს მუშაობის ანგარიშს.

თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას თავმჯდომარის არყოფნის ან თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში. დებულებით უნდა განისაზღვროს საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის კანდიდატურის დასახელების, არჩევის და თანამდებობიდან გადაყენების წესი.

დებულებით ასევე განსაზღვრული უნდა იყოს საბჭოს მუშაობის წესი, კერძოდ:

- მორიგი და რიგგარეშე სხდომების ჩატარება, ვადები და რეგულარობა;
- გადაწყვეტილებების (მიმართვა, შუამდგომლობა, განცხადება, რეკომენდაცია და სხვა) მიღებისა და კენჭისყრის წესი;
- ინფორმაციის გავრცელება სხდომების ჩატარების დროსა და ადგილის, დღის წესრიგის და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- დღის წესრიგის შედგენა და საკითხების განხილვა: მოხსენების გაკეთება, კითხვა-პასუხისა და დებატების გამართვა (უზრუნველყოფილი უნდა იყოს აზრის თავისუფალი გამოხატვა და საკითხის სრულყოფილად განხილვა).
- მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის წარდგენა (იმ წევრებს რომლებსაც ექნებათ განსხვავებული მოსაზრებები მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უფლება უნდა ქონდეთ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგინონ ალტერნატიული მოსაზრებები).

მიზანშეწონილია, რომ საბჭოს სტრუქტურა დეტალურად არ იყოს დებულებით წინასწარ დადგენილი და კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების რაოდენობა, თემატური მიმართულებები და მუშაობის წესი თავად საბჭოს წევრებმა განსაზღვრონ არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე.

ახალგაზრდული საბჭოსა და მისი წევრების ანგარიშვალდებულება

საბჭო, როგორც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების წარმომადგენლობითი ორგანო, ანგარიშვალდებულია მათ წინაშე და რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ როგორც საჯაროდ გამოქვეყნების, ასევე პირისპირ შეხვედრების გზით. გარდა ამისა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ადგილობრივ ხელისუფლებას და აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს.

8. ახალგაზრდული საბჭოს მხარდაჭერა

საბჭოს წევრებს ჭირდებათ სათანადო მხარდაჭერა, რომ სრულყოფილად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. ეს გულისხმობს სამუშაო სივრცის ქონას, სხდომის ჩატარებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას, ტრანსპორტირებას ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალგაზრდებთან შეხვედრისთვის, სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფას და ა.შ.

საბჭოს წევრებისთვის ასევე აუცილებელია მხარდაჭერა კომპეტენციების (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) განვითარებაში და შესაბამისი ტრენინგ-პროგრამის შეთავაზება, რომელიც მოიცავს ქვემოთ აღწერილ მოდულებს და თემატურ მიმართულებებს.

მოდული 1. ადგილობრივი თვითმმართველობა და ახალგაზრდული პოლიტიკა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები, თვითმმართველობის პროცესში მონაწილეობის მექანიზმები, ბიუჯეტირების პროცესი და მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობები;
- ახალგაზრდული პოლიტიკა - არსი, მნიშვნელობა, კომპონენტები, პრინციპები და ხარისხის სტანდარტები, ახალგაზრდული პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი;
- ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროცესი და ახალგაზრდული საბჭოს როლი.

მოდული 2. ახალგაზრდული სექტორი და ახალგაზრდული საქმიანობა:

- ახალგაზრდული საქმიანობის არსი, ისტორია, პრინციპები და ფორმები;
- არაფორმალური განათლება;
- ახალგაზრდული მუშაკების როლი და საქმიანობა;
- ახალგაზრდული სექტორის კონტექსტი საქართველოში და არსებული მდგომარეობა.

მოდული 3. ახალგაზრდების მონაწილეობა:

- ახალგაზრდების მონაწილეობის განმარტება, მნიშვნელობა და ფორმები;
- ახალგაზრდების მონაწილეობის კიბე;
- ახალგაზრდების მონაწილეობის მოდელები;
- ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი ფორმები.

მოდული 4. გუნდური მუშაობა:

- გუნდი და ჯგუფი, მახასიათებლები და განსხვავებები;
- ეფექტური გუნდური მუშაობის წინაპირობები და როლები;
- გუნდის განვითარების დინამიკა.

მოდული 5. თანამშრომლობა და ჩართულობა:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, დაინტერესებული მხარეების ინტერესისა და გავლენის ანალიზი, კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და პარტნიორობის დამყარება;
- ფონდების ძიება.

მოდული 6. ახალგაზრდებთან კომუნიკაცია და მედიატორობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და ახალგაზრდებს შორის:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების დადგენა და მეთოდები;
- ახალგაზრდებთან შეხვედრების/დიალოგის ორგანიზება;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- ეფექტური პრეზენტაცია;
- უკუკავშირი;
- ახალგაზრდების მოტივაცია;
- „რთულ“ მონაწილეებთან მუშაობა.

მოდული 7. ადვოკატირება:

- ადვოკატირება როგორც ცვლილებების ინსტრუმენტი, რა არის ადვოკატირება;
- ადვოკატირების საკითხები და მიზნები, ადვოკატირების სტრატეგია.
-

ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი

ახალაგზრდული საბჭოს კოორდინატორი არის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი საბჭოში, რომელიც აქვს სათათბირო ხმის უფლება და ეხმარება საბჭოს მისი ფუნქციების განხორციელებაში, კერძოდ, არჩევნების ორგანიზებაში, ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებაში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციაში და სხვა საჭიროებების გადაწყვეტაში. სასურველია, რომ კოორდინატორს ქონდეს ახალგაზრდული მუშაკის პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება.

9. ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება

მონაწილეობითი ბიუჯეტირება წარმოადგენს დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, სადაც რიგითი მოქალაქეები წყვეტენ, თუ როგორ განაწილდეს მუნიციპალური ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი. ის შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, განსაზღვრონ, განიხილონ და პრიორიტეტიზაცია გაუკეთონ საჯარო ხარჯვით პროექტებს და ანიჭებს მათ ძალაუფლებას, რეალურად მიიღონ გადაწყვეტილება ბიუჯეტთან დაკავშირებით. ამგვარად, მოქალაქეები მონაწილეობენ ადგილობრივი საჯარო ფინანსების (გარკვეული ნაწილის) როგორც დაგეგმვაში, ისე მათ განაწილებაში.

მიიჩნევა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების ერთ-ერთი მთავარი მიზანია იმ ადამიანების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ნაკლებად აქტიურები არიან, მათ შორის ახალგაზრდებისაც.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომ:

- ეს უნდა იყოს განმეორებადი პროცესი (ცალკეული შეხვედრები საბიუჯეტო საკითხებზე არ წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მაგალითს);
- პროცესი უნდა მოიცავდეს საჯარო განხილვების გარკვეულ ფორმებს (ადმინისტრაციული ან კლასიკური წარმომადგენლობით შეხვედრები მოქალაქეებთან არ ნიშნავს მონაწილეობით ბიუჯეტირებას).

ადგილობრივი მოონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკას 3000-ზე მეტი ქალაქი იყენებს და სხვადასხვა ფორმები გააჩნია. რამდენიმე ასეული მაგალითი არსებობს, როდესაც ის კონკრეტულად ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი.

ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქ. კლუჟში, რუმინეთი

ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება რუმინეთის ქ. კლუჟში 2015 წელს განხორციელდა და იყო პირველი დემოკრატიული პროცესი ქვეყანაში, რომელიც ონლაინ ჩატარდა. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პირდაპირი, მონაწილეობითი, დემოკრატიული გზით.

მუნიციპალიტეტმა პირველად მონაწილეობითი ბიუჯეტირების საპილოტე პროექტის განხორციელება 2013 წელს სცადა, რომელიც ჩავარდა რამდენიმე მიზეზის გამო:

- მერს და სხვა თანამდებობის პირებს არ სურდათ რეალური ძალაუფლების გადაცემა მოქალაქეებისთვის;
- მათ დასაწყისიდანვე ჰქონდათ მცდელობა, საბოლოო შედეგები გაეკონტროლებინათ;
- პროექტის მათი ხედვა უფრო მეტად საკონსულტაციო პროცესს გულისხმობდა.

2015 წელს პროექტი ინიცირებული იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, ხოლო დაფინანსდა ქალაქის ბიუჯეტიდან და ევროკავშირის მიერ.

პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო 16-35 წლის 15 000 ახალგაზრდა. ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოიყენეს გაზეთები, რადიო, ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები, სოციალური მედია და სხვადასხვა ვებგვერდები. ახალგაზრდები მონაწილეობდნენ მოხალისეობრივ საწყისებზე, ხოლო იდეის წარდგენა შეეძლოთ აპლიკაციის შევსებით და ვებგვერდზე განთავსებით. საბოლო ჯამში, მოხდა 248 საინიციატივო ჯგუფისა და 750-ზე მეტი ახალგაზრდის რეკრუტირება, რომელთაც 437 ინიციატივა წარმოადგინეს.

პროექტის წარმატებას ხელი შეუწყო ბევრმა ფაქტორმა: აპლიკაციის ფორმა იყო მარტივი; მონაწილეებს წინასწარ მიეცათ მკაფიო ინსტრუქცია წარსადგენი ინიციატივების და მათი შეფასების კრიტერიუმების შესახებ; ახალგაზრდებს უნდა შეექმნათ ჯგუფები მინიმუმ 3 წევრით და შეეძლოთ მაქსიმუმ 5 ინიციატივის წარდგენა; ინიციატივები უნდა განხორციელებულიყო ქალაქის მასშტაბით, მაგრამ ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასთვის; სამუშაო ენა იყო რუმინული, თუმცა გათვალისწინებული იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების მხარდაჭერა; იდეების ტექნიკური შეფასება დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით მოხდა საკრებულოს მიერ და ამის შემდეგ დაიწყო ხმის მიცემა გამარჯვებულების გამოსავლენად.

საბოლოო ჯამში 437 ინიციატივიდან დაფინანსდა 117. დაახლ. 48 609 ხმა დაფიქსირდა დაახლ. 18 872 ახალგაზრდისგან (რამაც გადაამეტა მოლოდინს, რომ 15 000 ახალგაზრდა ჩაერთვებოდა პროექტში), გადაამეტა მოლოდინს. დამატებით 25 იდეა დაფინანსდა საჯარო შემოწირულობით და დონაციით. შედეგად პროექტმა ხელი შეუწყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების განვითარებას ქვეყანაში, ხოლო მუნიციპალიტეტმა გაზარდა მისი მასშტაბები.

წყარო: https://participedia.net/case/5556

ჩვეულებრივ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

- პროცესის დაგეგმვა;
- საბიუჯეტო ხარჯებთან დაკავშირებით იდეების შეგროვება;
- საბიუჯეტო წინადადებების მომზადება;
- კენჭისყრა;
- გამარჯვებული იდეების დაფინანსება და განხორციელება.



არსებული გამოცდილების გათვალისწინებით ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტრუმენტის დანერგვა შესაძლებელია ახალგაზრდული საბჭოს ჩართულობით. პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. დაგეგმვა და დიზაინი

პირველ ეტაპზე, მოხდება საბიუჯეტო სახსრების გარკვეული მოცულობის გამოყოფა პროგრამისთვის (მაგალითად, ბიუჯეტის იმ ნაწილიდან, რომელიც ახალგაზრდული მიმართულებით იხარჯება, 5%-ს ან 5 000 ლარის) და ახალგაზრდული საბჭო და ადგილობრივი ხელისუფლება ერთობლივად შეიმუშავებენ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეები და ინიციატივები;

2. ახალგაზრდების ინფორმირება და იდეების შეგროვება

ახალგაზრდული საბჭო და ადგილობრივი ხელისფლება დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან ახალგაზრდებს პროგრამის შესახებ, რაც გულისხმობს როგორც საინფრომაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას, ასევე პირისპირ შეხვედრების ჩატარებას საბჭოს წევრების მიერ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

შეხვედრების მეორე რაუნდზე, საბჭოს წევრები შეაგორვებენ იდეებსა და ინიციატივებს, რომელსაც ახალგაზრდები წარმოადგენენ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

3. იდეებისა და ინიციატივების დამუშავება

ამ ეტაპზე, ახალგაზრდული საბჭო, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ექსპერტების დახმარებით, დაამუშავებს შეგორვებულ ინიციატივებს, მათ შორის, რამდენად შეესაბამება ისინი წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს.

4. კენჭისყრა

ახალგაზრდული საბჭოს ფარგლებში გაიმართება დამუშავებული ინიციატივების განხილვა და კენჭისყრის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებულები, რომლებიც დაფინანსდება პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში.

5. განხორციელება

ახალგაზრდული საბჭოს მიერ შერჩეული იდეები დასამტკიცებლად წარედგინება ადგილობრივ ხელისუფლებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რეალურ მონაწილეობას უზრუნველყოფს, ეს იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. საბჭოს მიერ გამოვლენილი გამარჯვებული ინიციატივები განხილვას აღარ დაექვემდებარება და პირდაპირ განხორციელდება.

6. უკუკავშირი, მონიტორინგი და შეფასება

ეს ეტაპი მოიცავს ახალგაზრდებისთვის უკუკავშირის მიცემას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და გამარჯვებული იდეების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას.

ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქ. კოლი დი ვალდესაში, იტალია

2009 წელს ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი განხორციელდა ქ. კოლი დი ვალ დესაში, იტალიაში. მუნიციპალიტეტმა გამოყო 20 000 ევრო 16-25 წლის ახალგაზრდებისთვის. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე და ნდობის გაძლიერება ადგილობრივ ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის. გარდა ამისა, მას ქონდა მკაფიოდ საგანმანათლებლო მიზანიც, რადგან მონაწილეები ეუფლებოდნენ სხვადასხვა უნარებს.

შემთხვევითობის პრინციპით 200 აპლიკანტისგან შეირჩა 59 მონაწილე, რომელთაც ჩამოაყალიბეს ახალგაზრდული საბჭო. პროექტი გაგრძელდა რამდენიმე თვე და მოიცავდა შეხვედრებს, დისკუსიებს, ინფორმაციის მოძიებას, განხილვებს, ფორუმებს და სხვა მეთოდებს, რომელთა შედეგადაც საბჭოს მიერ მოხდა გამოყოფილი ფინანსების განაწილება ახალგაზრდული პროექტებისთვის. საბოლოო ჯამში, პროექტმა მაღალი შეფასება დაიმსახურა ახალგაზრდების მხრიდან და ხელი შეუწყო თანამშრომლობის განვითარებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

წყარო: https://participedia.net/case/120

ამგვარად, ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელებით შესაძლებელი იქნება ახალგაზრდების რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც ასევე ხელს შეწყობს სამოქალაქო და დემოკრატიული განათლების დანერგვას, მეტ გამჭვირვალობასა და თანამშრომლობას.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
ე.ნინოშვილის №55, 0112, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995) 296 10 92, (+995) 294 30 08;
redcross@redcross.ge
www.redcross.ge